

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“**ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ**”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ბ. ჯაფარიძე

ზურაბ ზუცხრიკიძე

„31“ „10“ 2014 წელი

ეგზ. № 1

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების

ფინანსური აუდიტის ანგარიში

ნ.ე. 34/00

2014 წელი

შინაარსი

აუდიტის ობიექტი	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა.....	5
მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი.....	7
1.ბუღალტრული ბალანსები და მისი დანართები	7
2.სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა.....	9
3.ძირითადი კაპიტალის მოხმარება.....	10
4.ინვენტარიზაცია	12
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	13
უარი მოსაზრების გამოთქმაზე.....	13
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	14
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	14

აუდიტის ობიექტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2012 და 2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი. ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების მიხედვით უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ანგარიშებს:

- ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1;
- ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით – ბალანსის დანართი ფორმა №2;
- არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №2-1;
- ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №2-2;
- წმინდა ღირებულების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №3;
- სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №4;
- ფულადი გრანტების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №4-1;
- არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №5;
- ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №5-1;
- ინფორმაციას არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე – ბალანსის დანართი ფორმა №6.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და

ანგარიშების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშებაზე. აუდიტი ჩატარებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ყველა ის ეთიკური მოთხოვნები, რომელთაც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

აუდიტის მიმდინარეობისას ტარდება პროცედურები აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე, მათ შორის, აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა ნორმატიულ

აქტებთან შეუსაბამობის რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონშესაბამისობისა და მართლზომიერების უზრუნველყოფისათვის, რათა დაგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის,¹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ბიუჯეტების შემოსულობებმა შეადგინა 12 282.4 ათასი ლარი², რომლის 98,9%-ს შეადგენს შემოსავლები, 1,1%-ს - არაფინანსური აქტივების კლება. შემოსავლები მიღებულია შემდეგი წყაროებიდან:

- ✓ გადასახადები 1 796.4 ათასი ლარი³.
- ✓ გრანტები 9 785.0 ათასი ლარი.
- ✓ სხვა შემოსავლები 571.0 ათასი ლარი.


2012-2013 წლებში ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გრანტები ნაწილდება შემდეგნაირად:

¹ აღნიშნული კანონი მოქმედებდა აუდიტის პერიოდში, ხოლო 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მოქმედებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.

² 2012 წელი - 5730.5 ათასი ლარი, 2013 წელი - 6551.9 ათასი ლარი.

³ 100% ქონების გადასახადი.

(ათასი ლარი)



2012-2013 წლებში ბიუჯეტების გადასახდელებმა შეადგინა 11 950.1 ათასი ლარი. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით გადასახდელების 49,0%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 51,0% -ს - არაფინანსური აქტივების ზრდა.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- საბიუჯეტო პროცესის განხორციელება (საბიუჯეტო ურთიერთობა და პასუხისმგებლობა);
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;

- სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა და სხვ.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

1. ბუღალტრული ბალანსები და მისი დანართები

1.1 გარემოება

კრიტერიუმი

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი ვალდებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364⁴ ბრძანების შესაბამისად მოამზადოს პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგებები, სადაც აისახება ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

არსებული მდგომარეობა

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად არ ადგენენ პერიოდულ და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ 2002 წლიდან ორგანიზაციული ბალანსი არავის მოუთხოვია, თუმცა დაფიქსირებული არგუმენტი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ორგანიზაციული ბალანსი არ ყოფილიყო შედგენილი.

⁴საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

გავლენა

გამგეობის ზემდგომ ორგანოს და ფინანსური ანგარიშგების სხვა შიდა და გარე მომხმარებლებს, არ წარედგინება ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, მატერიალური მარაგების მდგომარეობის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და სხვა ეკონომიკური ნაკადების შესახებ. აღნიშნულის შედეგად არ ხდება ზემდგომი ორგანოს მიერ წლიური ფინანსური შედეგების განხილვა, გაანალიზება და შესაბამისი შეფასება. სხვა დაინტერესებულ მხარეებს არ ეძლევათ საშუალება, გაეცნონ მუნიციპალიტეტის მიერ მიღწეულ ფინანსურ შედეგებს, არ ხდება შიდა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება.

1.2 გარემოება

კრიტერიუმი

ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებს ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება ევალებათ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

არსებული მდგომარეობა

მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ინსტრუქცია აუდიტის ობიექტს ბოლომდე არ აქვს შესწავლილი. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვისას ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნები და ანგარიშთა გეგმით განსაზღვრული ბუღალტრული გატარებები ნაწარმოებია ნაწილობრივ, კერძოდ, მხოლოდ შემოსავლებზე, ხოლო ისეთი ოპერაციების განხორციელებისას, როგორიცაა, ფინანსური და არაფინანსური აქტივების, დებიტორ-კრედიტორების, ვალდებულებების, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების აღრიცხვისას, ბუღალტრული გატარებები არ არის გამოყენებული.

გავლენა

საბუღალტრო აღრიცხვის ინსტრუქციის გამოუყენებლობით მაღალია რისკი, რომ გარკვეული ხარვეზებითა და უზუსტობებით იქნეს აღრიცხული ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საფინანსო-სამეურნეო ოპერაციები, რაც გავლენას ახდენს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

- ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა;
- ეკონომიკური მოვლენების დროულად აღრიცხვა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დოკუმენტების გაფორმება;
- ბიუჯეტიდან მიღებული და კანონმდებლობით განსაზღვრული დაფინანსების აღრიცხვა;
- მომუშავეთა შრომის ანაზღაურებისა და სხვა გასაცემლების დროული დარიცხვა და მათი გაცემა;
- იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან სამეურნეო ოპერაციების შედეგად ანგარიშსწორების სრული და დროული აღრიცხვა;
- არაფინანსური და ფინანსური აქტივებისა (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებებისა და ინვენტარიზაციის შედეგების აღრიცხვა.

2. სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა

2.1 გარემოება

კრიტერიუმი

„ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის⁵ შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციები ვალდებული არიან ფინანსური ოპერაციების აღრიცხვისას აწარმოონ სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“.

არსებული მდგომარეობა

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ფინანსური ოპერაციების აღრიცხვისას სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა (მემორიალური ორდერები, მთავარი წიგნი) ნაწარმოებია ნაწილობრივ: კერძოდ, 2012 წელს მთავარი წიგნი და ბრუნვათა უწყისი არ არის ნაწარმოები და 2013 წელს ნაწარმოებია მხოლოდ ბრუნვათა უწყისი, ხოლო მემორიალური ორდერები 2012-2013 წლებში შედგენილია არასრულად და აღრიცხულია მხოლოდ შემოსავლები.

გავლენა

სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის არასათანადო გამოყენება გავლენას ახდენს სამეურნეო ოპერაციების შედეგად გაფორმებული დოკუმენტების საიმედოობაზე, მათი ქრონოლოგიურად დალაგების სიზუსტესა და სრულ აღრიცხვაზე, ასევე გავლენას ახდენს მათ საფუძველზე შედგენილი მემორიალური ორდერების მონაცემების უტყუარობაზე, რაც თავის მხრივ იწვევს მთავარი წიგნისა და ბრუნვათა უწყისის არასწორ წარმოებას. აღნიშნულის შედეგად, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვა შესაძლებელია ნაწარმოები იყოს არსებითი ხასიათის ხარვეზებით და მნიშვნელოვანი უზუსტობებით.

3. ძირითადი კაპიტალის მოხმარება

3.1 გარემოება

კრიტერიუმი

საბიუჯეტო ორგანიზაციები ვალდებული არიან არაფინანსური აქტივების სასიცოცხლო ციკლის პერიოდში მათი საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მიზნით, ბალანსზე რიცხულ აქტივებს დაარიცხონ ცვეთის ხარჯი საქართველოს ფინანსთა

მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439⁶ ბრძანებით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად.

არსებული მდგომარეობა

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ აქტივებს, მათი ექსპლოატაციაში მიღებიდან დღემდე, ცვეთის ხარჯი არ დარიცხვია. შესაბამისად, არაფინანსური აქტივები საბუღალტრო დოკუმენტებში აღრიცხულია არასწორად, მათი პირვანდელი ღირებულებით. ასევე ზოგიერთი აქტივი, რომელიც დღეის მდგომარეობით სრულად ამორტიზებულია ან გამოსულია მწყობრიდან, მუნიციპალიტეტის საბუღალტრო რეგისტრებსა და საინვენტარო უწყისებში დაფიქსირებულია მათი პირვანდელი ღირებულებით.

გავლენა

გრძელვადიან სააღრიცხვო პერიოდში, ექსპლოატაციაში მყოფი არაფინანსური აქტივების აღრიცხვა ფიზიკური ცვეთის გათვალისწინების გარეშე, ანუ მათი პირვანდელი ღირებულებით, არასწორად ასახავს აქტივების რეალურ ღირებულებას. გამომდინარე აღნიშნულიდან, მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ინფორმაცია მისსავე საკუთრებაში არსებული აქტივების რეალური (საბალანსო) ღირებულების შესახებ. ასევე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საანგარიშო წლის ბოლოს ძირითადი აქტივის ფიზიკური ცვეთა აღიარებულია ხარჯად და აისახება ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ანგარიშის დებეტსა და ძირითადი აქტივების შესაბამისი ანგარიშის კრედიტში. აღნიშნული წესის გამოუყენებლობით, ორგანიზაცია წლიური ფინანსური შედეგების გაანგარიშებისას არ ითვალისწინებს წლის განმავლობაში გაწეულ არაფულად (ცვეთის) ხარჯს.

⁶საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება „ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

4. ინვენტარიზაცია

4.1 გარემოება

კრიტერიუმი

„საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის №605 ბრძანებით, საბიუჯეტო ორგანიზაციაში უძრავი ქონების ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც, ხოლო დანარჩენი ქონების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს.

არსებული მდგომარეობა

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში 2012-2013 წლებში ჩატარებულია მუნიციპალიტეტის ქონების ინვენტარიზაცია, რომლის შედეგები არ არის შედარებული საბუღალტრო მონაცემებთან და შესაბამისად, არ არის გამოყვანილი მეტობა ან ნაკლებობა.

მუნიციპალიტეტის ქონების დიდი ნაწილი შეუფასებელია, ხოლო უვარგისი და სრულად გაცვეთილი აქტივები არ არის ჩამოწერილი. არაფინანსურ აქტივებზე არ არის მინიჭებული საინვენტარო ნომრები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ მუნიციპალიტეტის მიერ საინვენტარო შტრიხკოდები ახალი შეძენილია და მიმდინარეობს მათი დანომვრა.

გავლენა

იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტი არ ახორციელებს ინვენტარიზაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, არსებობს მაღალი რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები და არ მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

აუდიტის საწყის ეტაპზე, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტისათვის აუდიტის ჯგუფის მიერ წერილობით დასმულ კითხვებზე, რომლებიც ეხებოდა მუნიციპალიტეტის საფინანსო-სამეურნეო საკითხებს, აქტივების აღრიცხვასა და საბუღალტრო საქმიანობას, მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გაცემულ იქნა პასუხი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ადგენდა ორგანიზაციულ ბალანსებს, აწარმოებდა ბუღალტრულ აღრიცხვას და აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხორციელდებოდა მოქმედი ინსტრუქციების შესაბამისად. აუდიტის მსვლელობისას დადგინდა, რომ მოწოდებული ინფორმაცია აღმოჩნდა მცდარი. კერძოდ, ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტი არ ადგენს ორგანიზაციულ ბალანსს, არ ითვალისწინებს ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების საბუღალტრო აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს, სრულად არ იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების გეგმას, სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის მიზნით, ანალიზური და სინთეზური აღრიცხვის მეთოდებს, ხოლო ჩატარებული პერიოდული ინვენტარიზაციები არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. აღნიშნული გარემოებები დადასტურებულია მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ მეორე წერილობითი განმარტებით, რომელშიც ასევე აღნიშნავს, რომ აუდიტის შედეგად გამოვლენილი უზუსტობები და სისტემური ხარვეზები გამოსწორებული იქნება შემდგომ პერიოდში.

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

„მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის“ აბზაცში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი:
ბადრი ჯანჯღავა



ხელმოწერა 30.10.2014 თარიღი

უფროსი აუდიტორი:
გიორგი შურღია



ხელმოწერა 30.10.2014 თარიღი

აუდიტორი:
ლელა მიქაძე



ხელმოწერა 30.10.2014 თარიღი

აუდიტორი:
ასმათ ლილუაშვილი



ხელმოწერა 30.10.2014 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:
სოფიო ბელთაძე



ხელმოწერა 30.10.2014 თარიღი